

572
1963



1 9 6 3 0 3 5 0 6 0



Ն 6



ძვირფასო ბავშვებო! თქვენ იცით, რომ მთელი მსოფლიო ეოგელ წელს ზირველ ივინის აღნიშნავს ბავშვთა დაცვის დღეს.

ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა, რომ ჟურნალ „დილის“ მე-ნ-ე ნომერი მთლიანად ბავშვთა შემოქმედებას მიუძღვნას. ამ საქმეში დიდი დანხარება გავკვიწია ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტმა ჭანჭიკელამ. მან თავისი ლურჯათი იმოგზაურა სხვადასხვა ქალაქებში და უძმარავი წერილი მოგვაწოდა. სად არ იყო ჭანჭიკელა — რუსთავედი თუ წვალტუბოში, ქედამი თუ ახალციხეში.

572
1963



„ვრცელია ჩვენი სამშობლო“

„კრემლი“ — ალექო ჭებაძე,
5 წ. თბილისი



„დაბადების დღე“ —
ზოია ჩეუსოვა, 10 წ. ქ. კიევი

განა მარტო საქართველოს კუთ-
სეები შემიიარა, მოძმე რესპუბლიკებსაც
ესტუმრა ჭანჭიკელა; სთხოვა იქაურ
ბავშვებს დაესატათ და გამოეკვანათ
ნახატები „დილის“ მკითხველებსათვის.

მოდიოდა და მოდიოდა კურნალ „დი-
ლის“ სახელზე წერილები, ნახატები.
რედაქციამ უყვლას დაბეჭდვა ვერ მოახერ-
ხა. ვეცდებით, მოწონებული ნამუშე-
რები შემდეგ ნომრებში მოვათავსოთ.

რედაქცია დიდ მადლობას უძღვნის
მათ, ვინც გულმხურვალედ გამოეხანსუხა
ჩვენს თხოვნას და მონაწილეობა მიიღო
ამ ნომრის შედგენაში!

„კოსმონავტი გოგონა“ — ე. ვა-
ლიუტე, 8 წ. ქ. ვილნიუსი

პატარა მხატვრის ჩანაფიქრს ფრთები შეეცხა, კოსმოსში გაფრინდა
მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი პალანგინა გარაჟაძე



ჰანჭიკელა

რუსთაველი

„დილის“ რედაქცია—ალო! ჰანჭიკელა, სადა ხარ?

ჰანჭიკელა—რუსთაველი ვარ.

„დილის“ რედაქცია—ვისთან?

ჰანჭიკელა—მაღალ მარტენის ღუმელებს გადავუქროლე ჩემი ლურჯაუთი და ქალაქის პარკში ამოვყავი თავი!

„დილის“ რედაქცია—პარკში რა ამბავია?

ჰანჭიკელა—უჰ, რამდენი ბავშვია აქ! დღეს კვირადღეა და თავის მშობლებთან ერთად ისვენებენ. ზოგი მეგობრებთან ერთად მოსულა.

აგერ პიონერები: ციცინო ვგრიტიშვილი, ნოზრევან ჯავრიშვილი, ვენერა ცხვედიანი, მერი ლომიძე, ნინო დარბაისელი, ოქტომბრელი გოგი ჩა-



„ჰანჭიკელა“—რუსულან ბანქელაძის, 7 წ. თბილისი



ჩანიძე... სხვებსაც გეტყოდით, მაგრამ ყველას გაცნობა ჯერ ვერ მოვასწარი! „დილის“ რედაქცია—გადაეცი ჩვენი საღამო ყველას. მათი მშობლები სომ შრომისმოყვარე ადამიანები არიან: მეტალურგები, მშენებლები, სხვადასხვა დარგის მოღვაწეები.

ჰანჭიკელა—აქ ერთ-ერთ ქარხანაში შევიქუჩივ ცალი თვალით: იცით, როგორი გავარვარებული ფოლადი ვნახე! სულ ცეცხლივით ბღღვრიალებდა! პარკში კი მტკვრის ტოტი უნდა დაგუბონ სანაოსნოდ და გახურებული მუშაობა აქვთ ხოლმე.

„დილის“ რედაქცია—შვიდწლედის შესრულებაში ყველანაირი შრომა ერთნაირად საპატიოა. სულ ერთია, სადაც მუშაობ, მთავარია კარგად იშრომო და სარგებლობა მოუტანო ჩვენს

„ციყვები“—მიშა სკობეცი, 8 წ. ქ. სვერდლოვსკი

„РОДНАЯ ПРИРОДА“



ყვავილებს ვრწყავ“
ლიდა სტრეჩენი, ნ წ.
ქ. ლეოვი

ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს. კარგი მუშაობა კი ნიშნავს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ქანქიკელა — აქაურ ბავშვებს, იცით რამდენი ჯართი შეუგროვებიათ? ზოგჯერ მათი შეგროვილი ჯართით ივსება მარტენის ღუმელები. პიონერები მიდიან ხოლმე საბავშვო ბაღებში, აართობენ პატარებს, ასუფთავებენ ამ პარკს, რგავენ ხეებს. აი, ახლაც ბავშვების დარგულ ჩითილზე მივაბი ჩემი ლურჯა.

„ლილის“ რედაქცია — აჰ, ქანქიკელა, ეგ რა გიქნია? ახლაც ახსენი!

ქანქიკელა — არის!

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ბავშვებიც ხომ თვისებურად ეხმარებიან უფროსებს, ვისაც რა შეუძლია! მამსადამე, ისინიც მონაწილეობენ შვიდწლედის შესრულებაში.

ბავშვები მუშაობენ სასკოლო ნაკვეთზე. უთუოდ მომავალი მებაღეები დაგვიხატა თეიმურაზ გოგრიკიანმა (V კლ. მოსწ. ქ. ქუთაისი)



ნეშვი



„ზამთარი“—მ. ტყემალაძე, II კლ. მოსწ. ქ. თელავი.



გაიარა თებერვალმა, დადგა მარტი. ნუშის ხეზე ყვავილი გაიშალა. ნუშმა ამაყად მიმოიხედა და როცა დაინახა, მის მეტი არც ერთი ჯერ არ ჰყვავოდა, ხმამაღლა თქვა:

— ხედავთ, რა ლამაზი ვარ!

ბალმა ვერაფერი უბაუსხა, რადგან ნუში სხვა ხეებთან შედარებით მართლაც ლამაზი ჩანდა.

მაგრამ აი, დაბერა მარტის ქარმა, მოვიდა წვიმა, თოვლი. ნუში საცოდავად მოიბუზა, და ყვავილი უღროოდ ჩამოსცვივდა.

გაირბინა მარტმა, აყვავდა ყველგან ხეხილი.

გავიდა დრო. ხეხილზე ნაყოფი გამოჩნდა.

ერთ დღეს ბაღში ბავშვები შევიდნენ. ზტყდა ყრიამული, სიცილ-კისკისით მისცვივდნენ ბავშვები ბლის ხეს.

ამ დროს ბაღში მამა შემოვიდა და ჩაილაპარაკა:


— ძალიან კარგი მოსავალი გვაქვს, მაგრამ აი, ნუშმა კი არ დაიცადა, ადრე აყვავდა, მოუსწრო ყინვამ და ვერ მოგვცა კარგი მოსავალი.

ბალმა გაიგონა ეს, ნუშს გადახედა და უთხრა:

— ხედავ, ძმობილო, რა სულწასული ყოფილხარ!

მოსწავლე მარიკა ზლაპარაძე (თბილისი)

რომელ ბიჭს არ უნდა, კარგი ფეხბურთელი იყოს? სოფელ ნარინჯოვანიდან (გალის რაიონი) რევაზ ბიბლაიაძე გამოგვიგზავნა ნახატი— „ჩემი ძმა ფეხბურთელი“



„არხი უზბეკეთში“—ზუპრა ხალმათოვა, 9 წ. ქ. იანგი

პლასტილინით ნამკრწები: „მზარეული“—დარეჯან კილაშვილი, თბილისი; „მანქანა“—ზაურ ყაველაშვილი, 7 წ. სანხერე; „ბიჭი ციგაზე“, „მელია და ყურძენი“—ეახტანგ ხეიტია, 5 წ. ქ. გალი; „ჩემი მურია“—ზვიად შვიშვილი, 5 წ. ქ. მახარაძე; „ბაჭიები“—იზოლდა ქოსაშვილი, 6 წ. ქ. ახალციხე




ქარი

ქარი ზუზუნებს და მოაქვს მტვერი,
 თან მოაქვს სითბო
 და მოდის თვითონ...
 ქარი ზუზუნებს და ამბობს თითქოს:
 —ხაღხნო, მიფრთხიდიტო,
 მოვდივარ ქარი!...

ნიკოლოზ სოსელია,
 თბილისის 124-ე საშ. სკოლის მოსწავლე



„ქვევლები“ (აბლიკაცია) — ლადო
 სკამკოჩაშვილი, 6 წ. ქ. მახარაძე



„მინდერის დედოფალი“ —
 ვიტა რომანენკო, 6 წ.
 ქ. ნიკოპოლი

„ბანაკისაკენ“ — ვოვა
 ზურბასი, 8 წ. ქ. ხერსონი





პიონერები ჩაის ფოთლის
კრეფაში უფროსებს ხშირად
ენბარებიან. სოხუმელმა პირველ-
კლასელმა ირაკლი ზედგინი-
ძემ დაგვიხატა: „პიონერები
ჩაის კრეფენ“.



ძვირფასო რედაქცია,
ვცხოვრობ ძალიან შორს
თქვენგან, — ქალაქ ომსკ-
ში. დღეს საბავშვო ბაღში
ვერ წავედი და ეს სურათი
დავხატე. „კოსმონავ-
ტები“ დეარქვი ნახ-
ვამდის! ოლია კახაკვიჩი.
6 წლისა.

ჭანჭიკელა ბიბლიოთეკაში



— ალო! ჭანჭიკელა, საიდან მოგვაწვდი-
ნე ხმა?
— ბიბლიოთეკაში ვარ.
— რომელ ბიბლიოთეკაში?
— გორის რაიონში, სოფელ ზეტრში.
ყური დაუგდეთ მოსწავლე ნოდარ მირაზ-
ნაშვილს:—მე და ჩემმა ანხანაგებმა შევაგ-
როვეთ წიგნები და ახლა საკუთარი ბიბ-
ლიოთეკა გვაქვს ჩვენს უბანში. ამ საქმეში
ოქტომბრელებიც დაგვეხმარნენ.
ოქტომბრელებს ძალიან უყვართ ეს ბიბ-
ლიოთეკა, წიგნებს ვურჩევთ და კითხულო-
ბენ.

„ჭანჭიკელა“—რუსულიდან ბანძელაძისა,
7. წ. თბილისი

ქუთაისელ ბაადურ გრძელიშვილს (6
წლისა)—„მოსავლის აღება“ უნა-
ხავს და დაგვიხატა კიდევ. მისგან უთუოდ
გამრჯე უმაწილი გამოვა.



— ალო! ჰანჭიკელა, ახლა სადა ხარ?
— თბილისში ვარ.

— გისთან?
— საბავშვო ბაღში!
— რას გვახარებ?
— ყური დაუგდეთ: მიკროფონთან არიან: თემურ უფიანი, მანანა ქვარიანი, ვანო ზოდელავა; ნინო, ლია და საშა თევზაძეები, დათო კახიშვილი და ნანა სიმონიშვილი.
— გისმენთ, გისმენთ, ბავშვებო!
ნანა:— დედაჩემი აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მუშაობს— მქსოვდელია.
თემური:— მამაც იქ მუშაობს, ინჟინერია. ერთხელ, მამამ ფაბრიკაში წამიყვანა, ფანჯრიდან დამანახვა, როგორ მუშაობდნენ მუშები დაზგებთან!
დათო:— მეც ვნახე ფაბრიკა, მგონა იქ აბრეშუმის ქიები იქნებოდა, მინდოდა,



„ჩემი მეგობარი“ — ს. ჩიტავა, 14 წ.
ქ. სოხუმი



თუთის ფოთოლი მიმეტანა, მაგრამ იქ ქიები არა ჰყოლიათ!
ციცინო და მანანა:— ჩვენი დედებიც იქ მუშაობენ...
ვანო:— ჩემი დედიკო კი ამ ფაბრიკის დირექტორია!
ლია და ნინო:— ჩვენ ტყუპები ვართ, კარგად ვუვლით ჩვენს უმცროს ძამიკოს, ხუთი წლის საშას.
საშა:— საბავშვო ბაღში კარგია; აქ ვცეკვავთ, ვმღერით, ვძირწავთ.
ყველა— ჩვენ ყველანი კარგი მეგობარები ვართ!
ჰანჭიკელა— გამადლობთ, ბავშვებო! მივფრინავ...

ნ წლის ნინო ქობულაძე ამ თაიგულით ყველას გილოცავთ ბავშუთა დღის დღეს!


ჩემი სოფელი

რა დამაბია ჩემი სოფელი,
მთა-ბარი, ტყე და მინდორი. ველი,
გარემორტყმული მწვანე ფარჩებით;
და შიგ დამაბია ეზო-ბაღჩეებით.

შერი ელიზბარაშვილი,
ველისციხის საშ. სკ. მოსწავლე



საგარეოელ ვეფე მისახ-
ვაშელს ძალიან უყვარს
თავის სოფელი. აი,
როგორი მოწონებით
დაუბატავს კიდევ. გაზრ-
ღმა ვეფე დაუფაცვდება
და სოფელს გამოადგება.



„მშენებლობაზე“ — ასკარ ტაგევი, 6 წ. ქ. ბაქო

312011

(მამარჯის ნამზოვი)



„ანუ შ“ — სელა ბეჟარიანი, 9 წ.
ქ. ერევანი

ეს ამბავი მომხდარა მესხეთში. იქ, სადაც ახლა ვარძიაა გამოკვეთილი, იმ კლდეებში ორბი ბუდობდა. საკვირველი ღონის ფრინველი ყოფილა. წყლის სასმელად მტკვარზე დადიოდა, სანადიროდ კი — კავკასიონის მთებში.

საქართველოს მტრებთან ერთად ისიც საქართველოს მტერი ყოფილა. მოიტაცებდა ხოლმე ხან ბავშვს, ხან კრავს და იმის გზა-კვალს ველარავინ იგებდა.

ერთხელ იმ კლდეების ახლოს ახალგაზრდა მესხი მზიარულად მიაქროლებდა თავის ცხენს. მას ისრით საეხე კაპარჭი მხარზე შქონდა გადაკიდებული. უეცრად დაუნახავს ორბი, რომელიც ჯავახეთიდან ნაქალაქვისაკენ მოფრინავდა. მესხს მშვილდ-ისარი მოუმარჯვებია, მაგრამ შიშვრებულა, — დაუნახავს რომ ორბს ბავშვი ეჭირა კლანქებში. მტაცებელს მგზავრი რომ შიშვნიშნავს, მაღლა წასულა და კლდეებში ჩაკარგულა.

მესხი მისულა იმ კლდესთან და წელ-
წელა აპყოლია. ნახევარი გზა რომ აუფ-
ლია, გამოქვაბულიდან ბავშვის ყვირილი
გაუფრინა: „აქ ვარ, ძიაო“. მესხს ძალა
უფრო მოპმატებია და გაბედულად ასუ-
ლა. ორბს რომ დაუნახავს, ხიფათი მე-
ლისო, გარეთ გამოსულა და შეუტყვია
მესხისათვის. მესხი შიგ შესვლას ფიქრობ-
და, მაგრამ ორბი არ უშვებდა. ქაბუკს
მახვილი მოუშველებია და რამდენ-
ნიმეჯერ დაუკენწლავს. ამ დროს
მტკვრის ხეობას ცხენოსანთა ჯარი მოს-
დგომა; შეუნიშნა ვაჟისა და ორბის
ომი, თან ბავშვის ყვირილი—„აქ ვარ,
ძიაო“ და გაოცებულნი შეპყურებდნენ
თურმე. ბოლოს ვაჟი შესულა სადგომში
და მახვილი შიგ გულში ჩაუტია ორბი-
სათვის. იქიდან გადმოუფდია და მტკვრის
გამოდმა მხარეზე ხალხის წინ დაცემულა.
შემდეგ გამოუყვანია 5 წლის ბავშვი,
მოუბამს წელზე ქამანდი და ჩაუშვია ქვე-
მოთ. თვითონაც უკან მიპყოლია. ცხენ-
ოსნებიდან ერთი ქალი გამოყოფილა

და ბავშვთან მისულა. მესხი მიმხვდარა,
რომ ის ქალი თამარ მეფე იყო და მის
წინ მოწიწებთ დაიპოქია; მაგრამ მე-
ფეს უთქვამს: „მადლობა მესხეთის მიწას
შენი გაზრდისათვისო. ბავშვს ჩვენ წა-
ვიყვანთ, მშობლებს გადავცემთ, თან ვე-
ტყვიო, ვინც გადაარჩინა და შენ ორი
დღის შემდეგ ჩემთან მოდიო“.

მესხმა ორბს მარჯვენა ფრთიდან ამოა-
გლიჯა ორი ბუმბული, გაიჭოტა ქულში
და წავიდა. გზაში სიმღერით მიდიოდა.

თამარ მეფეს ერთი კვირის შემდეგ
ურიცხვი მუშა მიუყვანია და ერთი წლის
განმავლობაში გამოუჭრიათ სამას საშოკ-
დაექესი ოთახი. ხოლო გარედან გაუკე-
თეს მხოლოდ ერთი შესასვლელი, შიგ
შეაბეს ზედოზედ სამი კარი. გარედან
ორი ფოლადისა, შიგნიდან კი ერთი ოქ-
როს კარი და სახელად ვარძია დაარქვეს.

რევაზ ბერიძე

ახალციხის რაიონის სოფ. ნაქალაქეის
8 წლიანი სკ. მოსწავლე.

„პიონერულ ხაზზე“
პელმუტ ჰალღემაა, 8 წ.
ქ. ვალგა (ესტონეთი)





გაკვეთილი სამედიცინო

- ილო, ილო, უანჭიკელა ვარ!
 - სადა ხარ, ბიჭო, საიდან ლაპარაკობ?
 - წუაღტუბოს რაიონში ვარ, სოფელ ორპირში. უჰ, რა ცეცხლებსა პურის, ერთი განახვათ!
 - რას ამზობ, ვერაფერი გავცივია!
 - პავშეხსად როგორ უხარიათ, სულ სახე უხარწუნავთ!
 - ერთი დალაგებით გვიამხნე!
 - დალაგებით მე ვერა და, იხვე პიონერებმა გიამხონ.
- მიკროფონთან არის პიონერი ვერა ბეროძე:
- ნაწო მასწავლებელმა ჩოცა გვითხრა: ზვალ ერთ-ერთი გაკვეთილი აქვე ახლოს— სამედიცინო გემწებათო, ყველას გავცეზარდა. გვიკვირდა, როგორ უნდა ჩატარებულყო გაკვეთილი სამედიცინო!



„გოლი!“ — ზნა შინაშვილი, 8 წ. თბილისი

„ხილი მღინარე ბაქათა“ — შოთა გვასფი, 12 წ. უჯა




„ანატროსტატი“ — ჩვენ შარტროსიანი, V. ლ. პოსტ. ქ. ღვინჯანა



„მხიანი ღღე“ — სოსო ივანოვი, 13 წ. წაჯა

3094



„ბოზობი“ — ილ. ბერტინიშვილი, 7 წ. სოფ. ივალთო

„მებღავური“ — გელა შარაშვილი, 10 წ. თბილისი





„მესახლერეები“ — ილია ჩიტაძე, 7 წ. თბილისი

ქორი და ქორორა

დაგვიტოვეს თუ არა, მაშინვე ბებიას ვესტუმრე სოფელში. იქ ყველაფერი შეცვლილი დამხვდა; ბებია თებრონეს სახლი ელნათურებით გაეჩაღებინათ. ჩემი ნიშა ბოჩოლაც ვეებერთელა გაზრდილიყო. პატარა ღრუტუნებს ერთითადად მოემატათ. პაწია წიწილები ქორორა ვარიკებად დამხვდნენ, პატარა ცუგო ველარც კი ვიცანი..

ლამაზია ჩემი სოფელი, სულ მწვანეშია ჩაფლული. ზამთარ-ზაფხულ ფრინველთა ტკბილი ვალობა ისმის; გვერდით პატარა მდინარე ჩამოუდის.

ბებო თებრონე დილით ადრე აღგებოდა, ძროხებს მოწველიდა, მერე გაუმასპინძლდებოდა თავის პირუტყვებს და კოლმეურნეობაში სამუშაოდ წავიდოდა. ნავაზს ასე დაუბარებდა: «აბა შენ იცი, ჩემო ჭკვიანო, სახლს არ მოშორდე»-ო. მართლაც, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი ნავაზს, ბოჩოლას, ვარიკებს და ღრუტუნებს.

ერთხელ მე და ჩემი მეგობარი ნინო ტყისაკენ გავემართეთ მაცყლის საკრფად.

ცა მოიღრუბლა და საწვიმრად მოემზადა. ჩვენ მაშინვე ფეხს ავუჩქარეთ. ფერდობს რომ შევუდექით, წვიმამ კოკისპირულად დაუშვა. გულზე ნალველი შემომაწვა, მე-დარდებოდა, თებრონე ბებოს პირუტყვი წვიმას არ დაეჩრჩო.

— ნუ გეშინია, ნავაზი იქ არა ჰყავთ? წვიმა რას დააკლებთ!—მამხნევებდა ნინო.

თებრონე ბებიას სახლს რომ მივუახლოვდით, წვიმამ გადაიღო. ეზოს კარები შევა-



ღე თუ არა, ბოროლა თვალცრემლიანი შე-
მეგება, ღრუტუნები ჭყმუტუნებდნენ, მამ-
ლაყინწამ დაიყვილა, ვარიკებმა კაკანი მორ-
თეს.

— რა მოგივიდათ? რა ამბავია? სად არის
ჩემი წითელი ქოჩორა?

ნავაზი წყმუტუნით მომვარდა, თითქოს
მეუბნებოდა:

— რა გქნა, ჩემო პატრონო, ჩემი ბრალი
არ არის, შხაბუნა წვიმამ დამაბნია, ელვა-
სავით მოვარდა წყეული ქორი, დაავლო
კლანჭები ქოჩორას და მალლა ცაში გაუჩი-
ნარდა. მე მაშინვე დავედევნე უკან, მაგ-
რამ რას დავეწეოდი! რა ვუთხრა თებრონე
ბებიას?..

ქორმა თურმე ერთ კლდის თავზე შეის-
ვენა, იქვე მახლობლად ძია სანდრო ცხვარს
აძოვებდა.

— რალაც წივილი მესმის, უთუოდ იმ
წყეულმა კიდეც რაიმე მოიტაცაო,—ჩაილა-
პარაკა ძია სანდრომ. მალე იპოვა მტაცებ-
ლის კვალი. ესროლა თავისი დიდი კომბალი
და კლდის თავზე წამოსკუბებული ქორი ჩა-
მოავლო, ქოჩორა კი წამოიყვანა. სადამოს
მთელი სოფელი შემოიარა, მეზობლებს ეკი-
თხებოდა, ქოჩორა ხომ არავის გაკლიათო.
ძია სანდრომ ქოჩორა მიუყვანა თებრონე
ბებიას.

იმ დღეს დიდი სიხარული ჰქონდა ქოჩო-
რასა და მის მეგობრებს.

ფატი თურქაძე,
თბილისის 62-ე საშ. სკ. მოსწავლე



„კრემლის ვარსკვლავი“ — აგრის, 7 წ. ლატია



„ჩემი ფანჯრიდან“ — ირ. მემპარიაშვილი,
5 წ. თბილისი

„უშგული“ —
რამაზ ონიანი, ლენტეხი

„თხილამურებოთ“ —
ლიმბიტრი მებზიროვი,
12 წ. წალკა





რავმა ეგვიპტეა მელია ქათამს

ბ ლ ა ვ ვ ა რ ა

ტყის პირას ერთი სახლი იდგა. ამ სახლში ცხოვრობდნენ მელია და ქათამი.

ერთხელ ქათამი გზაზე მიდიოდა, დაინახა, რომ მიწაზე პურის მარცვლი ეყარა. ქათამმა აკრიფა და სახლში გაიქცა. სახლში რომ მივიდა, მელიას მიახარა. მელიამ უთხრა:

— მოდი, ძმობილ, წავიღოთ და დავეთესოთ!

კარგიო, — მიუგო ქათამმა.

გათენდა მეორე დღე. მელია და ქათამი ყანაში წავიდნენ ხორბლის დასათესად. მელიას ეზარებოდა შრომა და ქათამს უთხრა:

— ძმობილ, მე გორაზე ავად და ცას დავიკვირ, თორემ ჩამოვარდება და ქვეშ მოგვიყოლებს!

კარგიო, — უთხრა ქათამმა. დათესა ხორბალი და სახლში წავიდნენ.

გავიდა ხანი, ჯეჯილი გაიზარდა. ქათამი ყოველდღე ყარაულობდა.

ერთხელ ქათამმა უთხრა მელიას:


— წადი, უყარაუდე ყანას.

მელია წავიდა ყანაში, წამოწვა ჩრდილში და დაიძინა. ამასობაში ფრინველებმა ყანა მთლად გაანადგურეს. მელიას გამოეღვიძა და წასვლა დააპირა. ამ დროს მოვიდა ქათამი, მელიას უყვირა და სახლიდან გააგლო.


მელია იმ დღიდან დაემუქრა ქათამს და ანბაც ემტერება.



ლაციელმა პარისმა ბერი ზღაპარი
იცის და ბურატინო დავეიხატა.



პლასტილინით ნაძერწი: „პორტ-
რეტი“—10 წ. თ. ჩირინაშვილი,
თბილისი



ზურაბ კაკაბაძეს (6 წ.) უნ-
და მშენებელი გამოვიდეს.
ამიტომ „მშენებლობა“ დავეი-
ხატა




„ზღაპარი“—მიშა ბოროვ-
კოვი, 8 წ. მოსკოვი




„ფანჯარაში“ — ნ. სკლიუტაუსკაიტე,
6 წ. ქ. ვილნიუსი

გერსხალი
ბერი ზღვა გადმოიარა,
დიდი მანძილი დატყარა,
ჩვენთან პირველი მოვიდა
და გაზაფხული გვაზარა.
ოფშკოთის ს.შ. ს.კ. ჯ. კაბულაძე
მოსწავლე.

„ექსკურსია“ — ოთარ ზერიანიძე, IV კლ.
მოსწ. თბილისი



ძვირფასო რედაქცია,
პაპაჩემს იმხელა ქვევერი აქვს მცხე-
თაში, რომ მე და ჩემი ამხანაგები შიგ
თავისუფლად ჩაიმაღლებით. მაგრამ იმდენი
ყვავილი აქვს ბაღში, რომ ეს ქვევერი
ყვავილებში ალარც კი ჩანს ხოლმე.
არღაღდეგებზე პაპასთან რომ ვიყავი,
ეს ქვევერი მაშინ დავხატე.
მარიკა მამულაშვილი
IV კლ. მოსწ. (გორი)



ვარსკვლავებში გაფრენაზე ოცნებობს 7 წ. ვია რიგვევა. აი, მისი ნახატიც.

თავსატეხი. ეს უჯრედები შეივსეთ გარეული ცხოველების სახელებით.

შეადგინა ბარისახოს სკოლა ინტერნეტის VII კლ. მოსწ. მამუკა ბურდულმა



„სალამო“—ტოლია შახრაი, 11 წ.ქ მინსკი

ჩეხესი



მ მ ს



ბოუ



ა

შეადგინა III კლ. მოსწ. ევატერინე სუარიძემ. ღუშეთი.

ბ 26/199



„სვანი კაცი“ (პლასტიკონი, ბარელიეფი) — მედეა ფილფანი, 13 წ. მესტია

„აგარაკი“ — ეარლაშ შარა-შენიძე, 10 წ. თბილისი



„ჩენი ბბო“ — როლანდ ზაუტაშვილი, 12 წ. ყვარელი

რედაქტორი ჯანსუღ ნარკვიანი, ხარედაქციო კოლეგია: ბ. გვამბაყრი, კ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, შაჰაზ. მკვიციანი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), რ. ბაიშვილი.

საქართველოს ალკა ენტრალური კომიტეტისა და ც. ი. ლენინის სახელობის წიგნი პოინერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალო

ყდაზე: „გემი“, ნაბათი ზაბაზ ბარკოშვილი, 7 წ. თბილისი ტკრუბატორი ბ. გოგიაშვილი

გამოცემის ოცდამეექვსმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება.

გამომცემლობა „ინტელექტი“, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 280, ტბაშის რაიონი. № 882. ტირაჟი 40000. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 4/VI-1963 წ. ეროვნული დაბეჭდვითი კომპლექსის ავტონომიური დაწესებულება, დუბაის ქ. № 14 „ЛИТА“ იმ რეკონსტრუქციის სახელობის გამზ. № 81.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მუხომანის ქ. № 81, ტელ. 5-37-36.

ფასი 20 კპბ.